

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N2

04.06.2015წ.

სხდომის თავჯდომარე - ჯემალ მაგანია, რექტორის მ/შ, პროფესორი

სხდომის მდივანი - ნინო ქოჩაკიძე, პროფესორი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ჯემალ მაგანია - რექტორის მ/შ, პროფესორი, საბჭოს თავჯდომარე
2. ნინო ქოჩაკიძე, პროფესორი - სხდომის მდივანი
3. ირაკლი დოლაბერიძე - ასოცირებული პროფესორი
4. მანანა მნათობიშვილი - პროფესორი
5. ედუარდ ფეროიანი - ასოცირებული პროფესორი
6. დავით ხაჩიძე - ასოცირებული პროფესორი
7. კახა ხვედელიძე - ასოცირებული პროფესორი

დღის წესრიგი:

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება;
3. დეკანების ინფორმაცია აკადემიური მოსწრებისა და სწავლის საფასურის გადახდის შესახებ;
4. მიმდინარე საკითხები.

I. საკითხი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება.

მოისმინეს: რექტორის მ/შ, პროფესორ ჯემალ მაგანიას ინფორმაცია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ: მან საბჭოს გააცნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატების რეგისტრაციის განცხადებების განხილვისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის ვადები.

საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაადგინა:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატების რეგისტრაცია ჩატარდეს - 8 ივნისიდან - 3 ივლისის ჩათვლით; კანდიდატების განცხადების განხილვა - 3 ივლისიდან - 30 ივლისის ჩათვლით. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის დღე დაინიშნოს 2015 წლის 12 აგვისტოს.

II. საკითხი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება.

მოისმინეს: საბჭოს სხდომაზე განსახილველად გამოტანილი მეორე საკითხის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის მ/შ, პროფესორ ჯემალ მაგანიას ინფორმაცია: მან საბჭოს გააცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატების რეგისტრაციის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის შერჩევისა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის, წარდგენის ვადები;

საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაადგინა:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატების რეგისტრაცია ჩატარდეს 8 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით - ; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შერჩევა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსათვის მოხდეს 10 ივლისს; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის დღე დაინიშნოს 2015 წლის 15 ივლისს.

III. საკითხი

დეკანების ინფორმაცია აკადემიური მოსწრებისა და სწავლის საფასურის გადახდის შესახებ.

მოისმინეს: მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ტ. გულბიანის ინფორმაცია: ყველა საგანი I სემესტრის სესიებზე ჩააბარა II ჯგუფის 10 სტუდენტმა; დავალიანება აქვს 13 სტუდენტს; ვერცერთი საგანი ვერ ჩააბარა 3-მა სტუდენტმა. I ჯგუფში ყველა საგანი ჩააბარა 6-მა სტუდენტმა; დავალიანება აქვს - 17 სტუდენტს; ვერცერთი საგანი ვერ ჩააბარა 2-მა სტუდენტმა. ასევე დოკუმენტალურად წარმოადგინა მწვრთნელთა ფაკულტეტის თითოეული სტუდენტის მიერ გაცდენილი საათთა სემესტრული რაოდენობა და სწავლის საფასურის თითოეულის მიერ გადახდილი თანხა (თან ერთვის ოქმს).

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გ.ფარულავამ საბჭოს მოახსენა ფაკულტეტის აკადემიური მოსწრებისა და სწავლის საფასურის გადახდის შესახებ, კერძოდ ყველა საგანი ჩააბარა 15-მა სტუდენტმა; დავალიანება დარჩა 13 სტუდენტს; ვერცერთი საგანი ვერ ჩააბარა 1-მა სტუდენტმა; ასევე სხდომას მოაწოდა ინფორმაცია თითოეული სტუდენტის მიერ გაცდენილი საათების რაოდენობის შესახებ და გადახდილი სწავლის საფასურის შესახებ (თან ერთვის ოქმს).

საბჭომ დაადგინა; დეკანების ინფორმაცია მიღებული იქნას ცნობად და მორიგი ინფორმაცია მოსმენიულ იქნას ივნისის ბოლოს აკადემიური საბჭოს მორიგ სხდომაზე.

სხდომის თავჯდომარე, პროფესორი

სხდომის მდივანი, პროფესორი



ჯემალ მაგანია

ნინო ქოჩაკიძე